БИБЛIОТЕКА
Имени К. Я. ...

№ 40 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 20 მან. სამშაბათი, თებერვლის 22 1921 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ზე გ. 20 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 310 მ. სასმართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

ფრონტზე

უკანასკნელი ცნობები.

კოჯრის ფრონტზე მტერი სასტიკათ დამარცხდა: წავართვით 4 მძიმე სასროლი იარაღი, 8 პულემიოტი, ავტომობილები და დროშა.

მტრის დევნა გრძელდება.

(გენერალური შტაბის ცნობა.)

(თბილისი, თებერვლის 21.)

ღამით 20—21 თებერვალს, მტერმა მიიღო რა მაშველი ძალები, ორჯერ შემოუტია ჩვენს ნაწილებს კოჯრის რაიონში. ორივეჯერ მოვიდნენ მტრის რაზმები ჩვენ სანგრებამდე. მტრის პირველი შემოტევა მოვიგერიეთ ხელისასროლი ყუმბარებით, მეორე შემოტევა კი — ხიშტით ბრძოლამდე მივიდა. მიუხედავათ ჩვენი ჯარების მეტისმეტი დაღლილობისა მთელი ღამის სასტიკი ბრძოლის გამო, ჩვენი ჯარები ორჯერ გადავიდნენ კონტრ-შეტევაზე და მამაცი თავდასხმით უკუ აგდეს მტერი.

შემდეგში მტრის ყოველგვარი ცდა შემოტევისა მოგერებულ იქმნა ჩვენების სროლით.

21 თებერვალს დილის 8 საათზე ჩვენი ძალების მიწოლის შემდეგ მტერმა დაიწყო უკან დახევა.

ღამის ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები, მათ შორის პოლიტკომი (პოლიტიკური კომისარი).

სოღანლუღის დასავლეთის რაიონში ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო მტრის ყუმბარების ყუთი ყუმბარებით.

შავი ზღვის პირის მიმართულებით 20 თებერვალს აღმოჩენილ იქნა მტრის შემოტევა ადლერის მხრიდან. საფრანგეთის ესკადრა ჩვენ ტერიტორიის დაცვის საქმეში დახმარებას გვიწევს: ზარბაზნებიდან ესვრის ბალშევიკებთა ჯარების ფრთას.

დანარჩენ მიმართულებებზე ცვლილებები არ მომხდარა.

(საქ. კორესპ.).

21 თებერვალს, დილით 11 საათზე სრულიად სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად ღამით 20—21 თებერვალს მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანმა რაზმმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს კოჯრის რაიონში. ბრძოლა წარმოებდა ხელსასროლი ყუმბარებით და ხიშტებით. მტერმა დაიხია ს. კოდისაკენ. მტრის დევნა გრძელდება.

გაგრის ფრონტზე.

(საქ. კორესპ.)

ბალშევიკების შემოტევა გაგრის ფრონტზე შეჩერებულია. ჩვენი საზღვარი ვერ გადმოლახა მტერმა. მტრის „ზურგში“ უკვე დაიწყო მწვანე არმიელთა აჯანყებები. საფრანგეთის სამხედრო ფლოტის ორი კრეისერი უკვე მოვიდა გაგრის ფრონტზე და მტრის პოზიციებს სროლა აუტეხა.

მთავრობის თავმჯდომარისაგან

მთავრობის თავმჯდომარემ საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის საოლქო შტაბს, ბათომის საგანგებო რწმუნებულს და აფხაზეთის კომისარიატს მიმართა:

19 თებერვალს მუხანათი მტერი სამარცხვინოთ დამარცხდა ტფილისის კედლებთან. აქ გაეთხარათ მათ პირველი ფართო საფლავი და მით ტფილისი იქცა საქართველოს მიუვალ ბჭეთ, საქართველოს ვერდენათ. მაგრამ ამ გამარჯვებით არ წყდება ტფილისის ბედი, მტერი ისევ იკრებს ძალას და ჩვენზე იერიშით მოვა, მხოლოდ მტრის სრული განადგურება მოქცემს ჩვენ საბოლოოდ გამარჯვებას და მშვიდობიანობას! განაგრძეთ მთელი ენერგიით დაწყებული საფრონტო მუშაობა. შეაჩერეთ ყველა დანარჩენი საქმეები მოეშველეთ ტფილისს. მეტი ლაშქარი, მეტი სურსათი. მთავრობა შეურყეველათ სდგას თავის პოსტზე და ეყრდნობა თქვენს საქმიანობას და თავდადებას გამარჯვება ჩვენია.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. **ჟორდანია.**

მოქალაქენო!

პირველი ბრწყინვალე გამარჯვება უკვე მოპოვებულია ჩვენი სახელოვანი ჯარის და გვარდიის მიერ.

დედაქალაქი საქართველოისა ფეხზე დამდგარმა ერმა ხელიდან გამოგლიჯა შემოსეულ მტერს—საბჭოთა რუსეთის და სომხეთის ბარბაროსებს.

მტერი წელში გაწყვეტილია, მაგრამ ის ჯერ თავ გასრესილი მაინც არაა.

არ მოგატყუილოს ვინმე ამ დიდმა გამარჯვებამ! ეხლა გვჭირია მთელი ძალღონის მოკრება, რომ დაწყებული გამარჯვება ღირსეულათ დავაგვირგვინოთ.

ამისთვის საჭიროა კვლავაც ერთსულოვნობა კიდევ უფრო გაძლიერებული.

ყველა თავის სადარაჯოზე, ყველა თავის საქმეზე გაეშურეთ!

მებრძოლნო იარაღით ხელში ფრონტისკენ!

წესიერებას ყველა უნდა იცავდეს!

ერთი წვეთი ღვინო არ დაილიოს, ერთი მთვრალი ქალაქში არ იყოს!

ცნობის მოყვარე მოქალაქენი ქუჩებში უსაქმოთ სეირნობით ხელს ნუ გვიშლიან.

ვისაც ყავს ცხენი გამოსადეგი ყველამ თავისით მიიყვანოს ზურგის უფროსის სამმართველოში.

ვისაც აქვს თოფ-იარაღი და ხმარება არ შეუძლია გადაეცით მთავრობას და ის ჩააბარებს მებრძოლთ ხელში იმ იარაღებს!

ერთი ვაზნაც არ დაიტოვოთ სახლში.

ყველაფერი ფრონტს, ყველაფერი თავდაცვას უნდა მოხმარდეს.

სიმშვიდე, წესიერება, ერთსულოვნება და გაბედულება აი რა გვიხსნის ჩვენ საბოლოოთ და რას უნდა ემსახურებოდეს ყოველი მოქალაქე.

ესაა ჩვენი ყველასი ვალდებულება დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალი სამშობლოს წინაშე და ვინც ამას ნებით არ შეიგნებს, ასეთებისათვის მთავრობას იძულებითი საშვალებანი აქვს, ის ორგულებს არ დაინდობს!

აღმოსავლეთ საქართველოს გენ.-გუბ.
ჩხიკვიშვილი.

19 თებერვალი 1921 წ.
თბილისი.

რა მოხდა სომხეთში!

ტფილისში მიღებულია შემდეგი რადიო:

ერევანი, № 17. 20 თებ. **ტფილისში.**

ვაცნობებ მთავრობას და პრესას სომხეთის ერევანში მომხდარ ამბების შესახებ. 18 თებერვალს გათენებისას დაიწყო სომხის მშრომელი ხალხის აჯანყება ერევანში ბალშევიკების წინააღდეგ.

სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ქუჩებში სწარმოებდა, ჩამოგდებულ იქმნა ბალშევიკების მთავრობა. შუადღისას ქალაქი აჯანყებულთა ხელში იყო. მსხვერპლი ორივე მხრით დიდია. სომხეთი სრულიად გაწმენდილია ბალშევიკებისაგან. ახალი მთავრობის შედგენამდე ძალა-უფლება სამშობლოს დამხსნელი დროებითი კომიტეტის ხელშია ვრაციანის თავმჯდომარეობით. ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს მთელ სომხეთში. როგორც სატახტო ქალაქში, ისე პროვინციაში საუცხოვო წესრიგია. ბალშევიკების გამანადგურებელმა მუშაობამ სრულიად მოშალა სომხეთში ტრანსპორტისა და სურსათის საქმე. ბალშევიკები არ ზრუნავდენ ადგილობრივ მცხოვრებლებზე. მათი საზრუნავი იყო რაც შეიძლება მეტი გაეტანათ სომხეთიდან ადერბეიჯანში: ხორბალი გაჰქონდათ ათას ფუთობით, მიერეკებოდენ პირუტყვს, დასცალეს სრულიად ამერიკის კომიტეტის საწყობები,—რძე, მედიკამენტები, ფართალი, ფქვილი სრულიად გაზიდეს ადერბეიჯანში. ხალხს კი აღუთქვამდნენ რუსეთიდან შემოვიტანთ ხორბალს, ფართალს, ნავთსა და სხვ. ბალშევიკების ბატონობის დროს სომხეთში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე ვაგონი ხორბალი და მაზუთი. ჰუმანიური მოპყრობა მცხოვრებთადმი, რომლის შესახებ აუწყებს სომხეთის ხალხს სალაპარაკოდაც არ ღირს. ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორც მაგ. ოგანჯანიანი, ქაჩაზნუნი და პარლამენტის თავმჯდომარე სააკიანი, პარლამენტის წევრები და სხ. შეპყრობილ იქნენ და მშიერ-ტიტველნი ეყარნენ ცივ საპყრობილეში. არა ერთხელ დამუქრებიან მათ დახვრეტით. ღამით 17 საპყრობილეებში დახვრიტეს და დასჩეხეს ასობით დაპატიმრებულნი მათ შორის ცნობილი ამაზასანი. დანარჩენნი უნდა დაეხვრიტათ 18 თებერვალს გათენებისას, მაგრამ ქალაქის ხელში ჩაგდებისათანავე აჯანყებული ხალხის მიერ ისინი გადარჩნენ. საპრობილის სარდაფები სავსეა ცულით დაჩეხილი გვამებით. მთელი სომხის ინტელიგენცია დაპატიმრებული იყო. რეკვიზიცია, ჩამორთმევა, ძარცვა-გლეჯა როგორც ქალაქის ისე სოფლის მცხოვრებთა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. არ ერიდებოდნენ არაფერს, უკანასკნელი სარჩოც კი მიჰქონდათ. სომხეთა აფიცრების მთელი შემადგენლობა მიიწვიეს აღსარიცხავად, ისინიც მივიდნენ სამსახურისთვის. მათგან სულ მცირე რიცხვი გაანთავისუფლეს 1500 მეტი კაცი მათ შორის გენ. ნაზარბეკოვი, გამაზოვი, სილიკოვი, ახვერდოვი გარეკეს ქვეითად წითელი არმიელებით გარშემორტყმული ელენოვკამდე.

გამოაცხადეს, რომ გაგზავნილ აფიცრებს შეიძლება გადასცეს ნათესავებმა მხოლოდ სასითბურო ტანთსაცმელი და პური, მაგრამ კომისარიატში მიტანილი ნივთები იქვე დარჩა, დაპატიმრებულთათვის არაფერი არ გადაუციათ. დაპატიმრებულნი ბევრი ავად გახდა, გაეყინათ ხელფეხი და სხ. მთელ სომხეთში მხოლოდ 20—30 აფიცერი თუ დარჩა. სრულიად სხვა მოსაზრებით მოსკოვში გაგზავნეს ცნობილი ჰდრო. მცხოვრებს და მოსამსახურეებს ბალშევიკები აძლევდენ 1 გირ. პურს. მთელი ხალხი ტერორს ქვეშ გმინავდა, მაგრამ უკანასკნელმა ჟამმა დაჰკრა. ყველა ბალშევიკები, რომელთაც ვერ მოასწრეს მიმალვა, შეპყრობილნი არიან და მოთავსებულნი ციხეში. სამშობლოს დამხსნელი კომიტეტის მიერ ზომებია მიღებული რკინისგზის მოძრაობის აღსადგენათ ერევან ალექსანდროპოლის და ერევან ჯულფის ხაზზე. მუსულმანი მოსახლეობა სიხარულით ხვდება ახალ მთავრობას. ოსმალეთთან დამოკიდებულება საუცხოვოა. ბალშევიკებმა საშინელ მდგომარეობაში დასტოვეს სასურსათო საქმე. კომიტეტის მიერ მიღებულია ყოველი ზომები სასურსათო კრიზისის შესანელებლათ. დიდი ნაკლებობაა პირველ საჭიროების საგნებისა და ნავთ მაზუთის

რადიო-ტელეგრამა ერევნიდან

20 თებერვლას, ღამით, ტფილისის რადიო სადგურმა დაიჭირა ერევნიდან გაგზავნილი შემდეგი რადიო:

სომხეთი გაწმენდილია ბალშევიკების ბანდებისაგან. ყოველ მხრიდან მოდის ცნობები, რომ მზათ არიან იბრძოლონ სომხეთის მშრომელი ხალხის დამპყრობელთა წინააღმდეგ. მცხოვრებლები, როგორც ერთი კაცი, აღსდგენ—ხლად მოვლენილ მტარვალთა წინააღმდეგ, რომელნიც თავს იფარავენ ბალშევიკურ სოციალისტურ ნიღაბ ქვეშ. საერთო აღფრთოვანებით და აღტაცებით არის მოცული მთელი სომხეთი. მიღებულია ყოველგვარი ზომები გადამალულ ბალშევიკების შესაპყრობათ. ერევნის მცხოვრებლები მხურვალედ და დიდის პატივისცემით შეხვდენ საპყრობილედან განთავისუფლებულთ. 19 თებერვალს საქართველოს ჯარმა ბალშევიკებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა. წითლებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე აუარებელი ტყვეები, დაჭრილები დახოცილები და აგრეთვე ნადავლი, გაიქცნენ ზარდაცემული ქართველები განაგრძობენ მათ დევნას. ამით გამოწვეულია ის მდგომარეობა, რომ განჯაში და ბაქოში დაიწყო აჯანყება, რომელიც ფართო ხასიათს ღებულობს. დაღესტანშიაც აჯანყებაა. წითელი ლაშქრები იქიდანაც გარბიან. მოსკოვისსოვნარკომმა გამოაცხადა საბჭოთა ჯარების სრული დემობილიზაცია. მე 2 არმიის წითელ არმიელები, ისე როგორც 1918 წ., თავის ნებით სტოვებენ თავიანთ ნაწილებს და მიილტვიან რუსეთში. დილიჟანის რაიონს ვიკავებთ ჩვენ. ვწმენდავთ ბალშევიკების ბანდებისაგან. წითელ არმიელთა ორი პოლკს ტიზარეხის მცხოვრებლებმა გზა მოუჭრეს და გაფანტეს მთებში. მათ სათითაოდ იჭერენ. ტფილისთან ჩვენ აღვადგინეთ მჭიდრო მეგობრული დამოკიდებულება.

„წითელი“ ტყვეები.

19—20 თებერვალს რამდენიმე ასეული წითელი ტყვეები მოიყვანეს ტფილისში. ხალხს ძალიან სურს დაინახოს თუ როგორი ჯურის არიან მტრები, მაგრამ რას ხედავენ?

ყველანი სასომიხდილი, დაფხავებულები, ფეხშიშველი, ნახევრად ტიტვლები, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომრები მაინც თითქმის ყველას აქვს. ალბათ ტფილისში შემოსვლისთანავე აპირებდნენ „გრაბ ნედელიას" მოწყობას, რომ ნძარცვნაგლეჯით მუცლებს გარდა ტომრებიც ამოევსოთ.

რას გვანან, როგორ პირველ ყოფილი ადამიანის, მხეცური გამომეტყველება აქვს ყველას, ჩემი მტრის სახლში შევიდნენ ესენი სტუმრათ ამბობს ერთი.

„Что вы хотите съ насъ" ეკითხება ერთი ჩვენგანი.

„Что? откуда мы знаемъ", უპასუხებს მას ერთი წითელი არმიელი.

მაგრამ მას შველის მეორე: „намъ сказали, что, у Васъ „монархическій царь", а вотъ мы хотѣли свободу...

თქვენი მოტანილი „სვაბოდა" და სოციალიზმისაგან ღმერთმა დაგვიფაროს აწყვეტიებს მან სიტყვას ჩვენი ჯარის კაცი.

ზოგი ტყვეები სახე. მომცინარი შეექცევიან ჩვენ მიერ მიცემულ პურს, რომელსაც ოქროსავით ატრიალებენ ხელში და თითქოს შესაჭმელადაც კი ენანებათ. თურმე მათ ერთი კვირის განმავლობაში დამბალ სიმინდის მარცვლების მეტს არას აძლევდენ. და რა თქმა უნდა მათთვის ასეთი ტყვეობა სანატრელია.

მაგრამ მათი მდგომარეობის დასახასიათებლად უკეთესია მოვიყვანოთ „წითელ არმიელის წერილი, ძმისგან:

„ძმაო სერიოჟკა!

დიდი ხანია რაც შენ შესახებ არა ვიცი რა, შენი ოჯახი სულ დაანგრიეს; ვანკა სიმშილით მოკვდა, ფუთი ხორბალი 50.000 მ. ღირს, მაგრამ საყიდელიც არსად იშოვება. ხვალ მივდივარ სოფ. ივანოვკაში იქნებ იქ მაინც ვიშოვნო; შენგან მოველოდი პურს, იქნებ როგორმე მოახერხო ერთი ფუთის გამოგზავნა".

ასეთია ყველა „წითელი მებრძოლების" მდგომარეობა, და ცხადია ასეთი მშიერი ბრბოები, თავგანწირულად იბრძოლებენ ისეთი კუთხის დასაპყრობათ, სადაც შეიძლება სულის მობრუნება.

მაგრამ ამაოდ, მათ ჩვენში გაძღომა არ ეღირსებათ. მათ აქ მხოლოდ სამარე გაეთხრებათ.

მთავრობა.

მთავრობა დღე და ღამე მუშაობს.

სამხედრო მინისტრი სალანლუღის მიმართულებით თვითონ გახდა მოწმე თუ როგორ მამაცურად მოიგერია და შემდეგ შეუტია მტერს ჩვენმა მამაცმა მებრძოლებმა, გვერდში უდგა მხედრობას, აიმედებდა და ამხნევებდა მათ.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე თვითონ არჩევს გამოცდილ მზვერავებს და ისტუმრებს ფრონტისკენ.

შინაგან საქმეთა მინისტრს კარგად ესმის თუ რას ნიშნავს შიგნით წესრიგიანობისა, ხალხში სულიერი სიმტკიცის დაცვა, ამისათვის მის ფხიზელ თვალს ღამეც არ ეკარება ლული.

მაგრამ ხალხს ყველაზე უფრო უნდა ხშირად იხილოს მთავრობის თავმჯდომარის სახე, რადგანაც მის სახეზე შეეჩვია ხალხი ნათლად წაიკითხოს, თუ რა მდგომარეობაშია ქვეყნის საქმე. აი აგერ მოაელვებს ეტლს სახე გაბრწყინებული მთავრობის თავმჯდომარე; მისი თვალები იმედის გამარჯვების გამომხატველია, მის დანახვაზე გაისმის ხოლმე ხალხში ტაშის გრიალი და დაუსრულებელი ვაშას ძახილი.

— დიდი ნოე კარგ გუნებაზეა, სჩანს ფრონტზე საქმე კარგად ყოფილა, გაისმის ხალხში.

— ეხლა მთავრობას საჩქარო კრება აქვს, ქემალისტებთან კავშირის პირობების გამოსამუშავებლად, ამბობს მეორე.

— არა, ქემალისტებს ართვინი მოუთხოვიათ, ვერ დავსთმობთ, მტერს ჩვენც დავამარცხებთ, არ გვინდა მოხმარება, გაისმის ხალხში ჩურჩული.

ასე აქტიურად, მონაწილეობენ მთელ ხალხთან ერთად ქართველი დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილი მთავრობა, მაგრამ ზოგიერთი ბოროტი ენები, უკვეთ პროვოკატორები ხმებს ავრცელებენ მთავრობის გაპარვისა თუ მის ქუთაისში გადასვლის შესახებ; მთავრობის ერთი თუ ორი წევრის ქუთაისში გამგზავრება ხალხის გასამხნევებლად და ახალ-ახალი რაზმების შესადგენად, ნიშნავს მთავრობის გადასვლას?!. არასოდეს! დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის ადგილზე იქნება, მანამ ქართველი ერის არსებობა არ შეჩერდება.

ეს კარგად იციან ჩვენს ახლოს, შიგნით მოკალათებულმა ხულიგან-პროვოკატორებმა, მაგრამ მაინც არ ერიდებიან ასეთი პროვოკატორულ ხმების გავრცელებას.

სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ!

დამფუძნებელი კრების წევრები.

ყველა დამფუძნებელი კრების წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ომში. 19 თებერვალს პირველად მათ ახარეს ხალხს ჩვენი ჯარების ბრწყინვალედ გამარჯვება. დილაა. ახლად ფრონტიდან დაბრუნებული დამფ. კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე აღფრთოვანებული ახარებს სასახლესთან მოზღვავებულ ხალხს გამარჯვებას; ამბობს გრძნობით სავსე სიტყვას, რომელსაც ასე ათავებს: „საქართველოს დემოკრატიამ უნდა გაანთავისუფლოს ამ ბოლშევიკურ ტირანიისაგან არა მარტო საქართველო, არამედ მთელი აღმოსავლეთი". კვლავ ყველას სიხარულის რკალი იპყრობს. ქალები ვეღარ ითმენენ და ალ. ლომთათიძეს შუბლზე კოცნიან. ისმის მათ შორის გამარჯვების გამარჯვებით გამოწვეული სასიხარულო ქვითინიც.

აგერ კიდევ მოიჭროლა ფრონტიდან თოფით ხელში დამფ. კრების წევრმა გ. ცისკარიშვილმა, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ომში და გახარებული მოაძახის: „გავიმარჯვეთ, 2000 დე ტყვე დაგვრჩა, მტერი უთავბოლოდ გარბის, ჩვენი მხრივ სრულიად უმნიშვნელო მსხვერპლია".

მოისმის სასახლიდან ცეცხლით აღგზნებული, აღფრთოვანებული სიტყვა სპ. კედიას, რომელიც სიხარულით და მამულიშვილური გრძნობით დამწვარი ცრემლებს ღვრის.

—კაცო, შალვა ქარუმიძის რაზმს თავი უსახელებია; თურმე ლომივით ეკვეთენ მტერს ფშავ-ხევსურები.

მიქრის ეტლით პ. საყვარელიძე და ყველას გადასძახის გამარჯვების ხმას.

ამ დროს მოხუცი სილიბისტრო გაიძახის: „ქართველ ერს სიკვდილი არ უწერია, მან უნდა გაიმარჯოს". ისმის ვაშას ძახილი და დაუსრულებელი ტაშის გრიალი. აგერ კიდევ მიეშურებიან ფრონტზე რაოდენიმე დეპუტატი.

გრ. ვეშაპელი ახალგაზრდობისაგან შემდგარ მოხალისეთა ახალ-ახალ რაზმებს ისტუმრებს ფრონტზე.

ხალხი ხედავს, რომ მისი ბედის მესაჭენი მასთან არი ჭირშიაც და ლხინშიაც, ეს კი აორკეცებს გამარჯვების იმედს.

ფრონტის შთაბეჭდილებანი

(მოკლეთ)

თებერვლის 20-ს დილის 2 საათი იყო, რომ კოჯორის ფრონტზე ვიყავით, ეს ის მომენტი იყო, როცა ჩვენი დევგმირები სასტიკ შეტევაზე გადავიდნენ და მტრის ცხენოსანთა რაზმს რკალი შემოარტყეს.

ჰაერი გაჟღენთილია ტყვია-წამლის სუნით. ისმის ზარბაზნის გრიალი. ჩვენები სულ წინწინ მიდიან, მათში ჯერ მკვდარი ერთიც არ არი, მტრის ლეშები კი აუარებელი ყრია... მაგრამ შეუბრალებელმა ყუმბარამ არ დაინდო ჩემს ახლოს ერთი ახალგაზრდა მებრძოლი... ის დაიჭრა; მიდის სანიტარი—უნდა გამოიყვანოს ის მებრძოლთა წრიდან, მაგრამ ის მკაცრად გადახედავს მას, და ანიშნებს ხელი არ ახლოს. მას კიდევ ბრძოლა სწყურია ვერაგი მტრის წინააღმდეგ; ის სისხლიდან იცლება, მაგრამ მაინც ისვრის.

აგერ კიდევ გუშინ დაჭრილს დღეს შეხვეულ ხელი თოფისთვის წაუვლია და მიეშურება წინა ხაზზე საბრძოლველად.

მოყავთ კიდევ რაოდენიმე დაჭრილი, ისმის მწარე კვნესა... ჩვენ სენტიმენტალობა გვძლევს... მაგრამ ნახევრად თვალცრემლიანი მაინც იმედიანათ უძახით:—გაუმარჯოს ჩვენს გმირებს!.. დაჭრილები თავს წამოყოფენ და ჩვენზე უფრო სიმხნევით გვიპასუხებენ:—ჩვენ კარგად ვართ; მალე სულს მოვიბრუნებთ და ისევ გავბრუნდებით მტერზე თავზარ დასაცემად. შეყურებ ჩვენი ერის სახელოვან შვილების ასეთ თავდადებას და ოდნავადაც არ გეპარებათ ეჭვი ქართველი ერის ბრწყინვალე გამარჯვებაში!

ა ჯ ა ხ ე ბ ა.

ბოლშევიკებმა მთელი თავისი ძალები საქართველოსკენ დაძრეს. ამით ისარგებლეს მათ მიერ ძალით დაპყრობილმა ქვეყნებმა და მოინდომეს რაც არ უნდა დაუჯდეთ გაინთავისუფლონ თავი ბოლშევიკურ ტანჯვა-წამებისაგან. განაწამები ხალხი ფეხზე დადგა; ეჩმიაძინის რაიონში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსვლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. აჯანყებულმა ხალხმა დაამარცხა ბოლშევიკები, ტყვედ წაიყვანა 500 კაცი. აჯანყებულთა მიზანია ახალი მთავრობის შექმნა.

ყარაბაღში დიდი აჯანყებაა ბოლშევიკების წინააღმდეგ. აჯანყებას მეთაურობს ცნობილი თურქი კიაზიმი.

განჯის რაიონში ბოლშევიკების საწინააღმდეგო აჯანყება დაიწყო.

ზანგეზურში გრძელდება მცხოვრებთა საერთო აჯანყება.

დაღესტანის აჯანყება თანდათან ვითარდება. ციხე სიმაგრე ვვედენო აიღო შამილის შვილიშვილმა.

ეს ცნობები მტკიცდება. დადგა დრო, როცა მთელი აღმოსავლეთის ბედი უნდა გადაწყდეს; ის საბოლოოდ უნდა განთავისუფლდეს, ამ „წითელ ჟანდარმებისაგან", ეს სავსებით დამოკიდებულია იმ ბრძოლაზე, რომელსაც დღეს ქართველი ერი აწარმოებს ამ პირსისხლიან მტრების წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიას ხვდა წილად აღმოსავლეთის ბედის გადაწყვეტა და ისიც კეთილშობილურად ასრულებს დღეს ისტორიის მიერ ნაკისრ მოვალეობას.

პარტიზანული ომი კახეთში.

(საკ. კორესპ.)

სოღანლუღის ფრონტიდან გაქცეული მტერი კახეთს შეესია. უნდოდა ამ მათხოვართა ბრბოს მშვენიერი კახეთის აოხრება; სიმშილისაგან გამხმარი კუჭის ამოვსება; მაგრამ დაიძრა დინჯი კახეთი; ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველა მტერს მიესია; დაიწყო ნამდვილი პარტიზანული ომი, რის შემდეგ მტერი იძულებული იყო გაქცეულიყო. მტრის დევნა გრძელდება. მოვიდა რეგულიარული ჯარის ნაწილები, რამაც ხალხში აღფრთოვანება და გამარჯვების სრული იმედი დაბადა. ავრცელებენ პროვოკატორები ხმებს ტფილისის აღებისა და მთავრობის დამხობის შესახებ, მაგრამ ხალხი ამ პროვოკატორებს სდევნის და კიდევ უფრო მეტის ხალისით განაგრძობს მტერთან ბრძოლას. სდგება ახალ-ახალი რაზმები. ხალხის სულიერი განწყობილება მხნეა. გადაწყვეტილი აქვს ყველას: სიკვდილი ან გამარჯვება!

მფრენავი რაზმი.

გზა-ტკეცილების და წყლით სავალ გზების სამმართველომ მოაწყო მფრენავი საგზაო რაზმები, ფრონტის გზებზედ სამუშაოდ. მოუწოდებთ ინჟინერებს, ტეხნიკოსებს, გზის ოსტატებს და ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფეებს დააშურონ ჩაწერა ჩვენ მთავარ სამმართველოში (სერგიევის ქ. № 8), ნუ დააყოვნებთ ჩაწერას, ჩვენი მოვალეობა არის გაუადვილოდ სწრაფი მიმოსვლა ჩვენს სახელოვან მეომრებს

საქართველოს წარმომადგენელისაგან

წარმოუდგენელი აღტაცება გამოვცადეთ იმ ცნობით, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ გამარჯვების შესახებ. საქართველოს თავისუფლების მოსპობა შეუძლებელია. ასე დამარცხდება ყველა ჩვენი მტერი. ვაშა ჩვენ ჯარს და სახალხო გვარდიას.

საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ანგორაში **მდივანი.**

ქალაქის თვითმართველობისაგან.

მოქალაქენო!

საქართველოს ბედი და უბედობა თქვენზეა დამოკიდებული.

მუხანათი მტერი ვერაგულად დაეცა ჩვენს რესპუბლიკას და მის განადგურებას ლამობს. ერის სიცოცხლე, მისი ფიზიკური არსებობა საფრთხეშია. ჩვენი გვარდია და ჯარი ეკვეთება მძლავრ მტერს და არ აძლევს მას საქართველოს და მისი ხალხის განადგურების შესაძლებლობას.

მეომართა სულიერი მდგომარეობა თქვენზეა დამოკიდებული. თუ გინდათ გადარჩეთ განადგურებას, თუ გინდათ ერი განადგურებას გადაარჩინოთ, გაამხნევეთ მეომარი. გაამხნევეთ თქვენი ქონებრივი და ზნეობრივი დახმარებით.

ყველაფერი ფრონტს, [illegible] ჯარს; წინააღმდეგ შემთხვევაში აღვირწახსნილი მტერი წაგვართმევს იმასაც-კი, რის დატოვებაც შეგვეძლო ომის ჩვენი გამარჯვებით დამთავრების შემდეგ.

ჯარს ესაჭიროება თქვენი ქონების მცირედი ნაწილი, მტერი კი წაგართმევთ ქონებას სრულად და თვით სიცოცხლეს, დამოუკიდებელ, თავისუფალ არსებობას.

მაშ ყველაფერი მეომრებს, გაუმარჯოს გვარდიას, ჯარს.

ჯარისათვის ქონების მოშურე ერის და სახელმწიფოს მოღალატეა.

გაუმარჯოს გამაგრებულ ზურგს, გაუმარჯოს ხალხის ერთ სულოვნობას. გაუმარჯოს ერის გულუხვობას.

ყოველგვარ შემოწირულებას ფრონტის და ჯარის სასარგებლოდ იღებს ქალაქის გამგეობის შენობაში საბჭოს საგანგებო კომისია.

ხელზე ფულის შეგროვება მოხდება მხოლოდ საგანგებო კვიტანციებით.

ქალაქის თვითმართველობა.

გამარჯვებისაკენ

მუხანათი მტერი მარცხდება. ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია მუსრს ავლებს გახულიგნებულ რუს ბოლშევიკებს, მართალია მტერი ქურდულად მოგვეპარა ყოველ მხრიდან მაგრამ ქართველი ხალხის ნაცადი ხმალი მეტად მჭრელი გამოდგა.

ქართველი ერი ერთ სხეულად გარდაიქცა. ერთსულოვნად შეკავშირდა. ვაფოლადებული და გასალკდევებული დიდ გოლიათს წარმოადგენს: ქართველ ერს ბევრი ჭირ ვარამი გადაუტანია და დღესაც ამ რთულ მომენტიდან გამარჯვებული გამოვა.

ქართველი ერი დღეს ყოფნა არ ყოფნის წინაშე სდგას. გამხეცებული მტერი სასტიკად მარცხდება. ეს მარცხი გადამწყვეტი იქნება ჩვენი მტრისთვის. ამ დამარცხებამ საბოლოოდ უნდა ხელი აალებინოს ჩვენზე გამოლაშქრებას: მტერი ზურგშივე სწყდება. ყოველ მხრიდან მოდის ამბები აჯანყებების შესახებ, რომელიც დაწყობილა მათ წინააღმდეგ. სომხეთს უკვე თავი დაუხწევია ბარბაროსებისგან. განთავისუფლებას ლამობენ აგრეთვე: დაღესტანი, საჩეჩნეთი. ხმები არის რომ ყარაბახში, განჯის რაიონში და ზანგეზურზში ბოლშევიკები ტერორის ქვეშ იმყოფებიან და უწყალოთ სდევნიან.

ხალხმა გაიგო ბოლშევიკების ფარისევლობა, მათი დაუნდობლობა და ვერაგობა. აღარა სწამთ მათი „სამოთხე". ამ გალეშილმა, სისხლით დამთვრალმა ხალხმა ანდერძი აიგო და სამუდამოდ დასაფლავდება საქართველოში. დღეს მიწას აყრის ქართველი ერი ამ კაცი ჭამია ველურებს, რომელთაც სურთ ჩანთქან ლამაზი საქართველო, მაგრამ უმალ მთელი ქართველი ხალხი მთლად გასწყდება და ამას კი ვერ ეღირსებიან.

ქართველმა ერმა თავისი ცხოვრება დღეს არ ჩამოაყალიბა, დღეს არ შექმნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მრავალ საუკუნოების განმავლობაში იგი ავანპოსტი იყო მთელი კავკასიაში. დიდ კულტურულ როლს თამაშობდა მთელ წინა აზიაში და ანგარიშს უწევდა მთელი ევროპაც.

ქართველი ერი არავისგან ხელის წამოსაკრავი არაა. საქართველო არავის ედავება, სხვისას არას ჩემულობს. მისი დევიზია: იცხოვრე და სხვაც აცხოვრე! მთელი ქვეყნის წინაშე განაცხადა საქართველომ თავისი გულის ზრახვა და განათლებულმა ევროპამაც გამოეხმაურა. მან იცნო ჩვენი სახელმწიფო.

საქართველოს ცნობა არც კი სჭირდებოდა. მას აღდგენა უნდოდა და ქართველი ერიც აღსდგა, გადააგდო მონობის მძიმე უღელი და დახეთ, ადამიანის სიბოროტეს და ვერაგობას რომ ამ უღლის დადგმა ისევ მოუსურვებიათ.

ზარბაზნების ჭექა-ქუხილისგან გააყრუეს ჩვენი ცა და დედამიწა. კიდევ შეღებეს ჩვენი ველ-მინდორი სისხლით, მაგრამ ქართველი ხალხი დღეს თამამად იბრძვის. მიდის წინ—გამარჯვებისკენ. ამის საწინდროა თვით ჩვენივე ხალხი, რომელიც ერთ ძახილზე ფეხზე დადგა როგორც ერთი კაცი.

სასტიკია ჩვენი ბრძოლა და სასტიკი იქნება ჩვენი მტერის დამარცხებაც.

ქართველო ერო! მაშ გულადათ! შენ გამარჯვებისკენ მისდიხარ.

მობილიზაცია.

გამოცხადდა მობილიზაცია 40 წლამდე. ვინც არ გამოცხადდება დეზერტირად ჩაითვლება.

რედაქტორის მოვალ. აღმ. [illegible]